პასტერელოზი ცხოველთა და ფრინველთა საშიში ინფექციური დაავადებაა

ბერიძე სულიკო
აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი, ბათუმი, საქართველო
E-mail: su444zi@mail.ru

აბსტრაქტი: სტატიაში აღწერილია ცხოველთა და ფრინველთა საშიში ინფექციური დაავადება პასტერელოზის გავრცელების მიზეზები და კერების არსებობის პრობლემები. ამიტომ საზოგადოებამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ვეტერინარიულ - სანიტარული წესების დაცვას. ვინაიდან ამ წესების მცირე ოდენმა დარღვევამაც კი, შესაძლებელია გამოიწვიოს დაავადების წარმოქმნა და გავრცელება. პროფილაქტიკური ღონისძიებების (აცრების) ჩატარების გზით და მკაცრი ვეტერინარული კონტროლის პირობებში, შესაძლებელია ამ დაავადების თავიდან აცილება და კერების შემცირება. მხოლოდ ჯანმრთელ ცხოველს შეუძლია საღი და მაქსიმალური პროდუქციის მოცემა. საერთოდ, როგორც ყველა დაავადებას, პასტერელოზსაც მეცხოველეობაში მნიშვნელოვანი ზარალი მოაქვს. ხშირ შემთხვევაში პირუტყვის გადარჩენა ვერ ხერხდება და იღუპება, ხოლო თუ დროულად მოხდება ამ დაავადების აღმოჩენა, მკურნალობის ხანგრძლივი კურსის ჩატარებით შესაძლებელია მისი შენარჩუნება.
საკვანძო სიტყვები: პასტერელოზი, ინფექცია, შინაური და გარეული ცხოველები, დაავადება, ფრინველი, აცრა, მომთაბარე.

დღეისათვის მსოფლიოს მასშტაბით უსაფრთხო საკვები პროდუქტების წარმოება-მოხმარების პირობებში ვეტერინარული წესების დაცვას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, საზოგადოება შინ და გარეთ მეტი ყურადღებით უნდა გამოირჩეოდეს ვეტერინარულ–სანიტარული წესების დაცვის მიმართ.

ვინაიდან ამ წესების მცირე დარღვევამაც კი, შეიძლება გამოიწვიოს დაავადების წარმოქმნა და გავრცელება. რაშიც შეუცვლელია პირუტყვის ვეტერინარული კუთხით სპეციალური უნარ ჩვევების ამაღლება, რათა მიღწეული აცილება. ამ მხრივ ელემენტარული ვეტერინარული განათლება, ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება მნიშვნელოვანი იქნება. მხოლოდ ჯანმრთელ ცხოველს შეუძლია მოგვცეს ხარისხიანი მაღალი პროდუქცია. ვეტერინარია დაავადებისაგან იცავს არა მხოლოდ ცხოველებს, არამედ ადამიანებსაც ამიტომაა ნათქვამი მედიცინა კურნავს ადამიანებს, ვეტერინარია კი სამყაროსო. ამიტომ, ვეტსპეციალისტებს, ცხოველთა მეპატრონეების მხრიდან მეტი მხარდაჭერა და კონტაქტი სჭირდებათ.

პასტერელოზი შინაურ და გარეულ ცხოველთა ერთობლივი ინფექციური დაავადებაა. იგი ხასიათდება მწვავე მიმდინარეობით, სეპტიცემიით, სასუნთქი და კუჭ-ნაწლავის ორგანოების ლორწოვანი გარსის ანთებით.

პასტერელოზი (ბოღმა) ნიადაგოვანი ინფექციაა, ავაადდება ყველა სახეობისადა ასაკის რქოსანი პირუტყვი, ღორი, ფრინველი, მაგრამ ყველაზე მგრძნობიარეა კამეჩი, ძროხა, ბოცვერი და ქათამი გაუფრთხილებლობის პირობებში პასტერელოზით შეიძლება დაავადდეს ადამიანიც. გარდა ამისა და მსგავს გადამდებ დაავადებებს, რომლებიც შეიძლება ცხოველებიდან ადამიანზე გადავიდეს ანთროპოზოონოზებს უწოდებენ მათ შორის განსაკუთრებით საშიშია: ცოფი, ციმბირული წყლული, ბრუცელოზი, ტუბერკულოზი და სხვა. ინფექციის წყაროს წარმოადგენს ავადმყოფი და დაავადება გადატანილი, მიკრომატარებელი ცხოველები. დაავადების აღმძვრელი - პასტერელები ორგანიზმიდან გამოიყოფა ფეკალით, შარდით და ნერწყვის გამონაყოფით, განსაკუთრებით ცხვირის გამონადენის სახით. დაავადების გავრცელებას ხელს უწყობს სტრეს-ფაქტორები, მაღალი და დაბალი ტემპერატურა, შეუფერებელი ტრანსპორტით მგვზავრობა და სხვა. ცხოველის დაავადება ხდება ძირითადად საკვებით და აეროგენურად. ასეთ დროს ცხოველთა პროფილაქტიკური აცრების ჩატარება და სადიაგნოსტიკო გამოკვლევები კიდევ უფრო აუცილებელი ხდება მომთაბარე მეცხოველეობის პირობებში. მითუმეტეს საქართველოში კი, ძირითადად მომთაბარე მეცხოველეობა წლიდან წლამდე ვითარდება მცირე მიწიანობის გამო.

დადგენილია, რომ საქართველოს რეგიონებში მსხვილი რქოსანი პირუტყვის დაავადება პასტერელოზი საძოვრული შენახვისას უფრო ხშირია, ვიდრე ბაგური კვებისას. დაავადება უფრო მეტად ვლინდება პირუტყვის სუბალპურ საძოვარზე ყოფნისას, როცა ზაფხულობით 3–4 თვის განმავლობაში იმყოფებიან საზაფხულო საძოვრებზე. საზაფხულო საძოვრებზე პირუტყვის გადარეკვამდე აუცილებელია ცხოველთა მთლიანი სულადობის გამოკვლევა ბრუცელოზზე, ტუბერკულოზზე, ლეიკოზზე და სხვა. გარდა ამისა უნდა ჩატარდეს ჯილეხის, ემკარის, თურქულის, სალმონელოზის პასტერელოზის და სხვა დაავადებათა საწინააღმდეგოდ აცრები. მოსახლეობის ნაწილი არ ითვალისწინებს მოსალოდნელ შედეგს და ზოგჯერ ცხოველები აცრებისა და გამოკვლევის გარეშე გადაჰყავთ საზაფხულო საძოვრებზე, რის გამოც როგორც წესი ივლის, აგვისტოს თვეებში თავს იჩინს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ისეთი ინფექციური დაავადების გამოვლენა, როგორიც არის პასტერელოზი. ამ დაავადებით გასულ წლებში დაეცა რამდენიმე ათეული პირუტყვი, ხოლო ვეტსპეციალისტების ჩარევის შემდეგ ავადმყოფ ცხოველებთან კონტაქტში მყოფი ყველა პირუტყვი აიცრა ჰემორარგიული სეპტიცემიის შრატით, ხოლო 15 დღის შემდეგ ჰემორარგიული სეპტიცემიის ვაქცინით. პასტერელოზი ანუ ჰემორარგიული სეპტიცემია მწვავედ და ქრონიკულად მიმდინარე კონტაგიოზური ინფექციური დაავადება და გავრცელებულია მთელ მსოფლიოში, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში იგი გვხდება აფრიკის, აზიის, სამხრეთ ამერიკის და კავკასიის ქვეყნებში საქართველოში, როგორც აღმოსავლეთში ასევე დასავლეთში. ჩვენს ქვეყანაში პასტერელოზით აავადდებიან როგორც შინაური და გარეული ძუძუმწოვარი ცხოველები, აგრეთვე ფრინველები რომელსაც ქოლერას უწოდებენ. ამჟამად ხშირია პასტერელოზის შემთხვევები ღორებშიც. ცხვარი იშვიათად აავადდება, ხოლო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ღორი პასტერელოზით ავაადდება ყველა ასაკში, დაავადება ყველაზე უფრო აგრესიულად მიმდინარეობს კამეჩებში, სიკვდილიანობა მათში ორჯერ უფრო მეტია ვიდრე სხვა ცხოველებში. პასტერელოზის საწინააღმდეგოდ აუცილებელია, ჩატარდეს აცრები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ვეტერინარ სპეციალისტთა დიდი ნაწილი დარწმუნებულია ამ დაავადების მიმართ კეთილსაიმედობაზე და პასტერელოზის საწინააღმდეგო აცრების დროს არ ითვალისწინებენ მის სეზონურობას და, არ ატარებენ აცრებს ყველა იმ უბნებში სადაც ის აუცილებელი და საჭიროა.

საქართველოში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პასტეროლოზის ენზოოტიური თავისებურებანი განპირობებულია სპეციფიკურ–ბუნებრივი პირობებით და დამკვიდრებულ მომთაბარე მეცხოველეობის პრაქტიკით. პასტერელოზი უფრო ხშირად პირუტყვის საძოვარზე ყოფნისას იჩენს თავს და იზრდება გამოწვეული ზარალი, რაც განპირობებულია დაავადებულთა პროდუქტიულობის მკვეთრი შემცირებით და გაზრდილი სიკვდილიანობით. მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში პასტერელოზით გამოწვეული სიკვდილიანობა უფრო მეტია, ვიდრე ჯილეხით, ემკარით, ლეპტოსპიროზით და პარატიფით გამოწვეული ერთად აღებული. პასტერელოზით ცხოველების დაავადებას ადგილი აქვს წლის ყველა დროს, განსაკუთრებით გაზაფხულსა და შემოდგომაზე. დაავადებულთა რიცხვი მაქსიმუმს აღწევს ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში. საძოვარზე ცხოველთა ყოფნის პერიოდში პასტერელოზის აღმძვრელის წყაროა დაინფიცირებული საძოვარი და წყალი. პასტერელას მიკრობს არშეუძლია გარემოში ვირულენტობისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება. მათი ადგილსამყოფელია პასტერელამტარებელ ცხოველთა სასუნთქი სისტემა, ლიმფური კანძები და სხვა. ცხოველთა ორგანიზმისა და პასტრელას მიკრობს შორის არსებობს ე.წ. ბიოლოგიური კომპრომისი - წონასწორობა. ორგანიზმის რეზისენტობის დამაქვეითებელ ფაქტორთა (გაცივება, ტრანსპორტირების შედეგად ორგანიზმის გადაღლა, გადახურება, ნესტიან პირობებში ყოფნა, არასრულფასოვანი კვება და სხვა) ზემოქმედების შედეგად პასტერელამატარებელ ორგანიზმში არსებული, მაგრამ მანამდე ცხოველის ორგანიზმისათვის უვნებელი პასტერელები გადადიან ვირულენტურ მდგომარეობაში და იწვევენ დაავადებას დაავადებული ცხოველები კი ვირულენტურ პასტერელებს გარემოში გამოყოფენ, გარდა ამისა, რეზერვუარებს ხშირად მღრნელები წარმოადგენენ. დასნებოვნება ხდება აღმძვრელის დაზიანებულ კანში, საჭმლის მომნელებელ სისტემასა და ზედა სასუნთქ გზებში მოხვედრისას. არაა გამორიცხული, რომ ინფექციის საწყისის გადატანას ხელი შეუწყოს სხვადასხვა ცოცხალმა გადამტანებმა, პარაზიტებმა, მღრნელებმა და ხშირად გარეულ ბალახის მჭამელმა ცხოველებმაც.

ცხოველთა ჯოგი პასტერელოზის გაჩენის შემთხვევაში კლინიკურად მოწმდება ყველა ამთვისებელი ცხოველის სხეულის ტემპერატურა. შემოწმების საფუძველზე ცხოველები იყოფა: დაავადებულად, დაავადებაზე საეჭვოდ და დასნებოვნებაზე საეჭვოდ (პირობითად ჯანმრთელი სულადობა). ცხოველის პირველი ორი ჯგუფი იზოლირდება და ტარდება მკურნალობა. მესამე ჯგუფს ჩაუტარდება აცრა პასტერელოზის საწინააღმდეგო პოლივალენტური შრატით აცრიდან 10-14 დღის შემდეგ ტარდება პასტერელოზის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრა. პასტერელოზის გაჩენის შემთხვევაში კლინიკურად მოწმდება ყველა ამთვისებელი ცხოველის სხეულის ტემპერატურა. აცრები უკეთდება კლინიკურად ჯანმრთელ ნორმალური ტემპერატურის მქონე ცხოველებს 2 თვის ასაკიდან, ვაქცინა შეჰყავთ კანქვეშ კისრის არეში.

პროფილაქტიკის მიზნით არაკეთილსაიმედო კერაში (საქართველოში ალბათ ყველგან) ვაქცინირებული უნდა იქნას ცხოველის სახეობის მთელი სულადობა, შესაბამისი ვაქცინით. დაავადებებზე აცრილს ნახირსა და ცხოველთა ჯგუფში უნდა ვერიდოთ ახალი ცხოველების შეყვანას საკარანტინო დროის გასვლამდე. ცხოველთა კვება და მოვლა-შენახვის პირობები უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ ნორმებს. ცხოველი უნდა იკვებებოდეს ვიტამინებით, ცილებით, მიკრო და მაკრო ელემენტებით, ბალანსირებული საკვებით. შენობა მოწყობილი უნდა იყოს შესაბამისად ცხოვლის, სახეობისა და ასაკის გათვალისწინებით, ასევე სათანადო მიკროკლიმატის დაცვით.

პასტერელოზისგან ცხოველთა დაცვის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგად პროფილაქტიკურ, პირველ რიგში სანიტარულ–ჰიგიენური ხასიათის ღონისძიებათა გატარებას. განსაკუთრებით მოზარდები, უნდა დავიცვათ ტემპერატურისა და სხვა მეტეოროლოგიური მოვლენების მკვეთრი რყევისაგან. სადგომებში არ იყოს მაღალი შეფარდებითი ტენიანობა, ცხოველები უნდა ავარიდოთ ხანგრძლივ დამქანცველ გადარეკვას – ტრანსპორტირებას, უზრუნველყვოთ სრულფასოვანი კვებით. ცხოველთა სადგომებს უნდა გაუკეთდეს დეზინფექცია. ასევე, საჭიროა დერატიზაციის ჩატარება, რადგან რეზერვუარებად ითვლებიან მღრნელებიც. საძოვრები და წყალსატევები უნდა დავიცვათ პსტერელოზის აღმძვრელით დაინფიცირებისაგან. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლეშის დროზე გაუვნებლობა და უტილიზაცია. დაავადებულ ცხოველთა იძულებითი დაკვლა უნდა მოხდეს სანიტარული წესების სრული დაცვით.

ყველა ფერმერმა, მეწარმემ, ვისაც შეხება აქვს პასტერელოზის ამთვისებელ ცხოველებთან, უნდა გაითვალისწინოს ზემოთ აღნიშნული შემთხვევები დაავადების გავრცელებისა და ჩასატარებელი ღონისძიებათა შესახებ ცხოველებს ჩაუტარონ პასტერელოზის საწინააღმდეგო აცრები. ეს ღონისძიება განსაკუთრებით აუცილებელია ცხოველეების საზაფხულო საძოვრებზე გადაყვანის წინ. ამ ელემენტარული წესის დაცვით, შესაძლებელი გახდება ცხოველთა შენარჩუნება და მისგან მაღალი და ხარისხიანი პროდუქციის მიღება.

დასკვნა: ლიტერატურული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციისა და საკუთარი დაკვირვებების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ცხოველების დაავადებას პასტერელოზით ადგილი აქვს წლის ყველა დროის განმავლობაში, განსაკუთრებით გაზაფხულზე და შემდგომაზე. დაავადებათა პიკი და დაავადებულთა რიცხვი მაქსიმუმს აღწევს ივლისში, აგვისტოსა და შემოდგომაზე. ცხოველთა ამ და სხვა საშიშ დაავადებებთან ბრძოლას უნდა მიეცეს სისტემური ქმედითი ხასიათი, განსაკუთრებით საქართველოს რეგიონების მთიან ზონებში საზაფხულო საძოვრებზე. აუცილებელია ყველა სამთავრობო სტრუქტურებისა და ვეტერინარული სამსახურების ყველა რეზერვის ურთიერთ შეთანხმებით გამოყენება და ამოქმედება ამ საშიშ დავადებათა წინააღმდეგ, გატარებული ღონისძებების შედეგად.

ბოლო პერიოდში შეიმჩნევა დაავადების გავრცელების ოდნავ შემცირება, მაგრამ პასტერელოზი მაინც რჩება ერთ–ერთ საშიშ დაავადებად.

პასტერელოზის გავრცელების მინიმუმამდე შემცირებისათვის საჭიროა ცხოველებში ყოველწლიური აცრების ჩატარება.

ტურისტული მარშრუტები ძირითადად გადის მთიან ადგილებში. სადაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას ოჯახური პირობებისა და სხვა ტურისტული ადგილების გაცნობისას მაღალხარისხოვანი მეცხოველეობის პროდუქტების მომარაგება სწორედ ისინი ქმნიან ტურისტებისთვის ეროვნულ კოლორიტს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვეტერინარია. თ. ყურაშვილი, მ. კერესელიძე თბილისი 2013 წ.
2. ჯ. ბაბაკიშვილი მ. მამაიაშვილი, თ. ცხაკაია. მ.კერესელიძე. ცოველთა ინფექციური დაავადებები, თბილისი, 2005 წ.

PASTEURELLOSIS OF ANIMALS AND BIRDS IT IS A DANGEROUS INFECTIOUS DISEASE

Beridze Suliko
Ministry of Agriculture of Adjara, Agroservice Center, Batumi, Georgia
E-mail: su444zi@mail.ru

Abstract. The article describes the causes of the spread of pasteurellosis, a dangerous infectious disease of animals and birds, and the problems of foci. Therefore, society should pay more attention to the observance of veterinary-sanitary rules. Because even a small violation of these rules can lead to the emergence and spread of disease. By carrying out preventive measures (vaccinations) and under strict veterinary control, it is possible to prevent this disease and reduce outbreaks. Only

a healthy animal can give healthy and maximum production. In general, like all diseases, pasteurellosis also causes significant losses in livestock. In many cases, livestock cannot be saved and die, and if this disease is detected in time, it can be preserved by conducting a long course of treatment.
Keywords: Pasteurellosis, infection, domestic and wild animals, disease, poultry, vaccination, nomadic.